შპს იმედი 2003

0109, საქართველო, თბილისი კახეთის გზატკეცილი 15

0109, Georgia, Tbilisi, Kakheti highway 15

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის

არქიტექტურის სამსახურს

შპს იმედი 2003-ის

განცხადება

შპს „იმედი - 2003“ თანახმაა შპს „თეგეტა მოტორსმა“ მოაწყოს სარემონტო ბოქსები ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი #15-ში შპს „იმედი 2003“-ის ტერიტორიაზე ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში ატვირთული პროექტის შესაბამისად.

შპს „იმედი 2003“-ის დირექტორის
საშონ ხაკშურის ნდობით აღჭურვილი პირი

კახა ახვლედიანი პ/ნ 49001001844 14.03.2014 წ



სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის თერთმეტ თებერვალს, მე, საქართველოს ნოტარიუსს *დავით იმნაძეს,* ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: *ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №55,* პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა შ.პ.ს "იმედი 2003"-ის დირექტორმა საშო ხაკშურმა (*ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 13.01.2012წ. განაცხადის ნომერი: 425568, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12004709, საიდენტიფიკაციო №206129928*), რომლის პირადობა დადგენილი მაქვს ჩემს სანოტარო ბიუროში დადასტურებული მოქმედებისას *(იჯარის ხელშეკრულებით დამოწმებული 05.02.2014წ. საქართველოს ნოტარიუსის დ. იმნაძის მიერ, რ. №140096674).* მან განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება *ისრაელში, ქ. ჰერცელიაში* და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დაადასტუროს სანოტარო წესით (*სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის - მუხლი 52, პუნქტი 3.პუნქტი 4*).

- შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორის საშო ხაკშურის მოთხოვნით *წინამდებარე სანოტარო აქტი შედგა ქართულ და ინგლისურ* ენებზე მის მიერ არჩეული თარჯიმნის ალბინა ზოტოვას *(დაბ. 12.08.1986წ. თბილისში, პ. №01011040854, მის. თბილისი, ქეთევან წამებულის №84-86, ბ. 29, დიპლომი ISU №000036, გაც. 10.07.2008წ. სსიპ ილა ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ)* მონაწილეობით. მე, საქართველოს ნოტარიუსმა *დავით იმნაძემ* თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის *ინგლისური ენა* და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს (*სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მუხლი 24, I და III ნაწილი*).

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა *ისრაელის მოქალაქის პასპორტის* მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორმა საშო ხაკშურმა (დაბ. 23.11.1942წ. ირანში, ისრაელის მოქალაქის პასპორტი P ISR №20400076, პირადი №3-1376888-9, გაც. 12.07.2012წ. ჰერცლიაში) მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებდნენ: გიორგი ტაბატაძე *(დაბ. 08.04.1974წ. თბილისში, პ. №01011028979, მის. ქ. თბილისი, რუისის №8),* როგორც „მინდობილობის გამცემი"-ს ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და გიორგი გახელაძე *(დაბ. 24.09.1959წ. კასპში, პ. №24001005768, მის. კასპი, ს. ქვემო ჭალა),* როგორც მოწმე. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, საქართველოს ნოტარიუსმა დავით იმნაძემ, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორს საშო ხაკშურს *თარჯიმნის მონაწილეობით, ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით* გავაცანი შემდეგი შინაარსის *სანოტარო აქტი:*

მინდობილობა

„მინდობილობის გამცემი":

- შ.პ.ს "იმედი 2003"-ის *(საიდენტიფიკაციო №206129928)* დირექტორი საშო ხაკშური *(დაბ. 23.11.1942წ. ირანში, ისრაელის მოქალაქის პასპორტი P ISR №20400076, პირადი №3-1376888-9, გაც. 12.07.2012წ. ჰერცლიაში),*

„მინდობილობის მიმღებს":

– *კახა ახვლედიანს (დაბ. 15.04.1975წ. ცაგერში, პირადი №49001001844, მის. თბილისი, რუსთაველის გზატკ. №12-ვგ),*

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- იყოს „მინდობილობის გამცემი"-ს წარმომადგენელი *ქ. თბილისის მერიაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო*

რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში და სხვა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში. „მინდობილობის გამცემი"-ს სახელით შეიტანოს და შეათანხმოს უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №15 (ნაკვეთი №1/55) – მშენებლობის პროექტი, ამასთან მიიღოს დამტკიცებული მშენებლობის პროექტი და მშენებლობის ნებართვა. აგრეთვე შეიტანოს განცხადება ზ/ა ნიშნული უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ და განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც საჭირო იქნება უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის. ზ/ა ნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით და ძალაშია 2019 წლის 11 თებერვლის ჩათვლით. წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, საქართველოს ნოტარიუსმა დავით იმნაძემ, ომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე *მინდობილობის გამცემს, მინდობილობის ამცემმა* დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ ნდობილობის შედგენისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა ახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს ორგი ტაბატაძეს.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *ქართულ და ინგლისურ ენებზე ოთხ ანაბარძნიშნელოვან* ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის ავით იმნაძის სანოტარო არქივში, ხოლო სამი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (50.00) ორმოცდაათი ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 32-ე მუხლისა.* პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.* სულ (52,00) ორმოცდათორმეტი ლარი.

მინდობილობის გამცემი: შ.პ.ს "იმედი 2003"-ის დირექტორი საშო ხაკშური
ელმოწერი: გიორგი ტაბატაძე

ოწმე: გიორგი გახელაძე

არჯიმანი:

ნოტარიუსი დ. იმნაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98977082436614

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140115633

რეგისტრაციის თარიღი

11.02.2014 წ

ნოტარიუსი: დავით იმნაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 55
ტელეფონი: 272 19 18

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

იჯარის ხელშეკრულება	Lease Agreement
ქ. თბილისი 2014წლის 05 თებერვალი	Tbilisi 5 of February 2014
ერთის მხრივ, **შპს "იმედი 2003"** (ს/კ 206129928; იურიდიული მისამართი: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 15, ნაკვ. №1/55) (შემდგომში – „მეჯარე") წარმოდგენილი მისი დირექტორის სასონ ხაკშურის მიერ და მეორეს მხრივ, შპს **"თეგეტა მოტორსი"** (ს/კ 202177205; იურიდიული მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №5) (შემდგომში "მოჯარე") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მიერ, ვმოქმედებთ რა საზოგადოების წესდებებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ჩვენთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგ პირობებზე:	**"Imedi 2003" LLC** (Identification coc 206129928; legal address: 15 Kakheti highwa land plot № 1/55) (hereinafter the "Lessor" represented by its Director Sasson Khakshouri, c the one hand and LLC **"Tegeta Motors"** (Identification coc 202177205; legal address: Tbilisi, № 5, 12th k Davit Aghmashenebeli Alley) (hereinafter th "Lessee") represented by its Director Gener Temur Kokhodze, on the other hand, Acting in their capacity provided by the statutes the companies and the legislation of Georgi conclude the present agreement and agree on th following terms:
პრეამბულა	Preamble:
გამომდინარე იქიდან რომ,	Whereas,
• ამ ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ თავიანთ ნებას აღასრულონ წინამდებარე ხელშეკრულება, გაიზიარონ ამ ხელშეკრულებაში მოცემული პირობები და შეასრულონ ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;	• The parties, by signing the prese agreement express their will to execute th agreement, to share the provisions of th present agreement and fulfill obligatio undertaken under this agreement;
• "მეჯარეს" საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართით 11377 (თერთმეტი ათას სამას	• The "Lessor" owns the immovab property (non- agricultural land plot, wi specified area of 11377 (eleven thousan three hundred seventy seven) sq. m an buildings located on it – show room an the service center with area of 1458.6

SASSON KHAKSHOURI

თემურ კოხოძე

სამოცდასამეტი) კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები – შეურუმი და სერვის ცენტრი ფართით 1458.68 (ერთიათას ოთხას ორმოცდათვრამეტი მთელი და სამოცდარვა მეასედი) კვ.მ. შემდეგი მახასიათებლებით

(one thousand four hundred fifty eigh point sixty eight) sq.m. with the followin characteristics:

განაცხადის რეგისტრაციის №	882013379920 –
განაცხადის შეტანის დრო მომზადების თარიღი	09/08/2013. 10:36.23 16/08/2013. 09:15:08
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.19.21.001.168
სარეგისტრაციო ზონა	თბილისი 01
სექტორი	სამგორი 19
კვარტალი	21
ნაკვეთი	001/168
მისამართი	თბილისი, კახეთის გზატკეცილი №15 (მიწის ნაკვეთი 1/55)

Application registration №	882013379920 – 09/08/2013 10:36:23
Date of filing Date of preparation	09/08/2013 10:36.23 16.08.2013 09:15:08
Land (real estate) cadastre code №	01.19.21.001.168
Registration zone	Tbilisi 01
Sector	Samgori 19
Block №	21
Plot	001/168
Address	Tbilisi, 15 Kakheti highway (plot 1/55)

- "მეიჯარეს" აქვს სურვილი და სრული უფლება, რომ გადასცეს დროებით სარგებლობაში "მოიჯარეს" ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული "იჯარის საგანი";

- The "Lessor" desires and has full authorit to transfer to the "Lessee" for tempora use the "Lease Object" stipulated by th agreement;

- "მოიჯარეს" აქვს სურვილი და სრული უფლება და საშუალება, რომ იჯარით – დროებით სარგებლობაში მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული "იჯარის საგანი" ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

- The "Lessee" desires and has full authorit and means (resources) to receive f temporary use, by lease, the "Lea Object" defined by this agreement ar according to the terms of the prese agreement;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე ორმხრივ დაპირებათა და მიღწეულ შეთანხმებათა საფუძველზე, ამ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდით შემდეგზე:

On the basis of the current legislation of Georg and the present agreement, as well as mutu representations and warranties and achieve agreement the parties of the agreement agreed c the following:

GASSEN KHAKSHOORI

მუხლი 1.
ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იჯარით – დროებით სარგებლობაში იღებს „მეიჯარის" საკუთრებაში არსებულ ქონებას შემდგომში "იჯარის საგანი", რომელიც შედგება:

1.1.1 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისაგან დაზუსტებული ფართით 11377 (თერთმეტი ათას სამას სამოცდაშვიდმეტი) კვ.მ.

1.1.2 მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისაგან – (შოურუმი და სერვის ცენტრი) ფართით 1458.68 (ერთიათას ოთხასორმოცდათვრამეტი მთელი და სამოცდარვა მეასედი) კვ.მ.

1.1.3 დანართი 2-ში მითითებული მოძრავი ქონებისაგან.

1.2. დანართი 2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. იჯარის საგნის, უძრავი ქონების მახასიათებლები შემდეგია:

განაცხადის რეგისტრაციის №	882013379920 –
განაცხადის შეტანის დრო მომზადების თარიღი	09/08/2013. 10:36:23 16/08/2013. 09:15:08
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.19.21.001.168
სარეგისტრაციო ზონა	თბილისი 01
სექტორი	სამგორი 19
კვარტალი	21
ნაკვეთი	001/168
მისამართი	თბილისი, კახეთის

Clause 1.
The Subject of the Agreement

1.1. According to the present Agreement the Lessor shall pass while the Lessee shall receive by lease, in temporary use, the property, owned by the Lessor – hereinafter reffered to as the Lease Object, which consists of:

1.1.1 Non- agricultural land plot, with specified area of 11377 (eleven thousand three hundred seventy seven) sq.m.

1.1.2 Buildings located on the land plot – show room and the service center with area of 1458.68 (one thousand four hundred fifty eight point sixty eight) sq.m.

1.1.3 The movable property listed in the form of Annex 3 of this Agreement.

1.2. Annex 3 is the integral part of this Agreement.

1.3. Charactersitics of the immovable property, Lease Object are as follows:

Application registration №	882013379920 – 09/08/2013 10:36:23
Date of filing Time of preparation	09/08/2013 16.08.2013 09:15:08
Land (real estate) cadastre code №	01.19.21.001.168
Registration zone	Tbilisi 01
Sector	Samgori 19
Block №	21
Plot	001/168
Address	Tbilisi, 15 Kakheti highway (plot 1/55)

SASSON KHAKSHOORI

1.4. "მოიჯარე" გაცნობილია "იჯარის საგნის" მდგომარეობას. „იჯარის საგანი" სრულად აკმაყოფილებს ტექნიკურ, სამშენებლო, სანიტარულ, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა სახის მოთხოვნებს და ვარგისია გამოყენებისა და ექსპლოატაციისთვის. „მოიჯარემ" მოიწონა იგი და არანაირი პრეტენზია მის მიმართ არ გააჩნია;

1.4. The Lessee is aware of the condition of Lease Object, and the Lease Object fully satisfies technical, engineering, sanitary, fire prevention and other type demands and is fit for using and exploitation. The Lessee likes the Object and has no claim in its respect.

1.5. "იჯარის საგანს", "მოიჯარე" გამოიყენებს სპეციალიზებული ავტოსერვისის მოსაწყობად (იმ სახით რა სახითაც მოიჯარეს მოწყობილი აქვს მისი სერვის ცენტრები თბილისში. კერძოდ, აღმაშენებლის ხეივანსა და უნივერსიტეტის ქუჩებზე), ხოლო ისეთ საქმიანობას რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით საჭიროა სპეციალური ნებართვა „მოიჯარე" განახორციელებს მხოლოდ ამ ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

1.5. The Lessee will use the Lease Object as a specialized car service (in the form as the "Lessee" organized its service centers in Tbilisi, namely in Aghmashenebeli alley and in University St.), while for the form of activity, which according to the legislation of Georgia needs special permissions/licenses, the Lessee will get corresponding licenses.

1.6. "მეიჯარე" "მოიჯარეს" დანართი №1-ის სახით წარუდგენს საჯარო რეესტრის ამონაწერს უძრავი ქონების შესახებ, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ "მეიჯარე" წარმოადგენს "იჯარის საგნის" კანონიერ მესაკუთრეს და რომ მას გააჩნია უფლებამოსილება აღნიშნული ქონების იჯარით გაცემის შესახებ.

1.6. The Lessor submits to the Lessee, in the form of the Annex №1, a transcript from Public Registry about the immovable property, which proves that the Lessor is a lawful owner of the Lease Object and that he has the right to lease the above-referred immovable property.

1.7. "მოიჯარე" ვალდებულია წარუდგინოს "მეიჯარეს" საქმიანობის სპეციალური ნებართვა ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

1.7. The Lessee shall submit to the Lessor a special license for activity, if such license is necessary;

მუხლი 2
ხელშეკრულების მოქმედების ვადა

Article 2.

Term of Validity of the Agreement

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება 5

2.1. The present Agreement is concluded for a

SASSAN KHARSHOURI

(ხუთი) წლის ვადით 2014 წლის 5 თებერვლიდან 2019 წლის 04 თებერვლის ჩათვლით. "იჯარის საგნის" გადაცემა გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს მოაწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

term of 5 (five) years and is valid from February 5th 2014 to February 4th 2019, including this day. The transfer of the Lease Object shall be made on the basis of transfer-receipt act, which shall be signed by the authorized representatives.

2.2. "მეიჯარე" და "მოიჯარე" თანხმდებიან რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის მანძილზე, კერძოდ 2015 წლის 05 თებერვლამდე, "მოიჯარისათვის" იჯარით, დროებით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ცალკე მდგომ შენობაში საერთო ფართით 77 (სამოცდაჩვიდმეტი) კვ.მ (რომელიც არ მიეკუთვნება არც შოურუმს და არც ავტოსერვისს) და მის მიმდებარედ 50კვ.მ მიწის ნაკვეთზე დროებითი სარგებლობის უფლებით რჩება შპს "აი ეს აი ავტო"-ს წარმომადგენლობა, რომელიც ვალდებულია 2015 წლის 5 თებერვლამდე გაანთავისუფლოს ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი.

2.2. The Lessor and the Lessee agree that after signing this agreement and during one year, namely until 5th of February 2015, the representation of LLC "ISI Auto" stays in the building with the total area of 77 (seventy seven) sq.m (which neither belongs to the showroom nor to the auto service) located separately on the land plot transferred to the Lessee for temporary use by lease and on the adjacent 50sq.m. land to it. ISI Auto has to evacuate from the above building and land plot until 5th of February 2015.

2.3. იჯარის ხელშეკრულება ავტომატურ გაგრძელებას არ ექვემდებარება.

2.3. The Lease Agreement will not be prolonged automatically;

2.4. იჯარის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2.4. Expiration of the Lease term will not release the parties from the fulfillment of their non-fulfilled obligations.

მუხლი 3
<u>საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი</u>

<u>Article 3.</u>

<u>Rental and Order of Payment</u>

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შეადგენს თვეში 7950 (შვიდი ათას ცხრაასორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, რომელიც

3.1. The Rent Fees according to this agreement amounts to 7950 (seven thousand nine hundred fifty) USD equivalent in GEL per month, which shall be paid according to the rules foreseen under this agreement

SASSON KHAKSHOORI

გადაიხდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად:

according to the following terms:

ხელშეკრულების გაფორმებიდან (2014 წლის 05 თებერვალი) 2017 წლის 5 თებერვლამდე პერიოდში "მოჯარის" მიერ "მეჯარისთვის" გადასახდელი საჯარო ქირა შეადგენს თვეში არანაკლებ 1950 (ერთიათას ცხრაასორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 5 თებერვლამდე "იჯარის საგნის" გაუმჯობესებისათვის "მოიჯარე" გაიღებს გაუმჯობესებისა და რემონტის ხარჯს 210 000 (ორას ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი თანხით ლარში.

From the moment of execution of th Lease Agreement (5th of February 2014 until the 5th of February 2017 the Rent Fe payable by the Lessee to the Lesso amounts to minimum 1950 (one thousan nine hundred fifty) USD equivalent in GE considering the fact that from the momer of execution of this agreement until the 5 of February 2017 the Lessee will borne th fees in the amount of 210 000 (tw hundred and ten thousand) USD equivaler in GEL for the renovation/upgrading of th Lease Object.

3.2. ზემოაღნიშნული გაუმჯობესების თანხის გადანაწილება და "იჯარის საგნის" გაუმჯობესების სამუშაოები "მოიჯარის" მიერ უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 35 თვის მანძილზე („მოიჯარის" მიერ "მეჯარისთვის გადასახდელი საჯარო ქირა - 7950 აშშ დოლარი შეიძლება შემცირდეს თვეში მაქსიმუმ 6000 აშშ დოლარით მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერიდან პირველი 35 თვის მანძილზე სარემონტო/გაუმჯობესების სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) შემდეგი პროპორციულობით:

3.2. The above renovation/upgrading fees an the renovation/upgrading works by th Lessee shall be made through 35 month from the date of signature of thi agreement (the Rent Fee 7950 USL payable by the Lessee to the Lessor may b decreased maximum with 6000 USD pe month for the first 35 months from th moment of signature of this agreemer considering the renovation/upgradin costs) and be divided with the followin proportions:

- 2014 წლის 05 მარტიდან 2015 წლის 05 თებერვლამდე პერიოდში 72 000 (სამოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის რემონტი/გაუმჯობესება ლარში;

- From 5th of March 2014 to 5th c February 2015 th renovation/upgrading in th amount of 72 000 (seventy tw thousand) USD equivalent in GEL

- 2015 წლის 05 თებერვლიდან 2016 წლის 05 თებერვლამდე პერიოდში

- From 5th of February 2015 to 5t of February 2016 th

SASSON KHARSHOURI

72 000 (სამოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის რემონტი/გაუმჯობესება ლარში;

- 2016 წლის 05 თებერვლიდან 2017 წლის 05 თებერვლამდე პერიოდში 66 000 (სამოცდაექვსი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის რემონტი/გაუმჯობესება ლარში.

renovation/upgrading in th amount of 72 000 (seventy tw thousand) USD equivalent in GEL

- From 5th of February 2016 to 5t of February 2017 th renovation/upgrading in th amount of 66 000 (sixsty si thousand) USD equivalent in GEL;

ამასთან, ზემოაღნიშნულ რომელიმე პერიოდში მითითებულ „იჯარის საგანზე" რემონტის/გაუმჯობესების სამუშაოების დირებულების გადაჭარბებით შესრულება ჩაითვლება შემდგომ პერიოდში შესახრულებელი სამუშაოების დირებულებაში.

Besides, any renovation/upgrade costs on the Lease Object exceeding the renovation/upgrade costs for any of the above stated period shall be counted in the next renovation/upgrade costs.

რაც შეეხება იჯარის პერიოდს 2017 წლის 05 თებერვლიდან 2019 წლის 05 თებერვლამდე, ამ პერიოდში საიჯარო თანხა, რომელსაც "მოიჯარე" გადაუხდის "მეიჯარეს" შეადგენს შვიდას ოცდაათ აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

As for the Lease period from 5th of February 2017 to 5th of February 2019 the Rent Fee for this period payable by the "Lessee" to the Lessor amounts to the fixed 7950 (seven thousand nine hundred and fifty) USD equivalent in GEL per month.

3.3. "მოიჯარის" მიერ განხორციელებული "იჯარის საგნის" ნებისმიერი სახის გაუმჯობესება ან/და რემონტი არ ექვემდებარება "მოიჯარისთვის" შკან დაბრუნებას ან/და ანაზღაურებას. გაუმჯობესება ან/და რემონტი უნდა განხორციელდეს მხოლოდ "მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობით და დაგეგმილი სამუშაოების "მეიჯარესთან" შეთანხმებით (ესკიზების, დიზაინის და ხარჯთაღრიცხვის წინასწარ შეთანხმება "მეიჯარესთან"). ამ შემთხვევაში თუ კი აღმოჩნდება რომ გაღებული გაუმჯობესების თანხა ნაკლებია წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 მუხლით განსაზღვრულ გაუმჯობესების თანხებზე, "მოიჯარე" ვალდებულია

3.3. None of the renovation and/or upgrading of the Lease Object are reimbursable or compensated to the Lessee. The renovation and/or upgrading shall be made only with the prior written consent of the Lessor and with agreeing the planned works with the Lessor (pre-agreeing drawings, designs and expenditures accountings with the Lessor). In case if it appears that the sums for upgrading is less than the amounts foreseen under article 3.2 of this agreement for upgrading, then the Lessee is obliged to reimburse the Lessor the difference between the borne amounts for the upgrading and the sums foreseen under article 3.2 for the renovation. In case if it appears that the sums borne by the Lessee for the upgrading/renovation exceeds the

LASSON KHARSHADZE

აუნაზღაურის "მეიჯარეს" სხვაობა წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 მუხლით დადგენილ გაუმჯობესების თანხასა და განხორციელებულ გაუმჯობესების ღირებულებას შორის. თუკი აღმოჩნდება რომ "მოიჯარის" მიერ გადებული გაუმჯობესების/რემონტის თანხა მეტია წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 მუხლით განსაზღვრულ გაუმჯობესების/რემონტის თანხაზე, "მოიჯარეს" გაუმჯობესების/რემონტის ხარჯები არ აუნაზღაურდება "მეიჯარის" მიერ. ნებისმიერი რემონტის/გაუმჯობესების ხარჯი "მოიჯარის" მიერ უნდა განხორციელდეს შესაბამისი ანგარიშფაქტურების და საბანკო გადარიცხვების გზით რათა დადასტურებულ გაუმჯობესების/რემონტის ხარჯების ბაზაზე შეიქმნას "ღირების საგანზე".

amounts foreseen under article 3.2 of agreement for upgrading/renovation, th the sums for the renovation/upgrad borne shall not be reimbursed by Lessor to the Lessee. Any costs renovation/upgrading made by the Le shall be made through the respec invoices and bank transfers in order t certified that the sums are paid renovation/upgrading of the "L Object".

3.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა ან/და გაუმჯობესების თანხები მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე და ის გადახდილი იქნება "მოიჯარის" მიერ დამატებით. ეროვნული ვალუტის გამოსარიცხად: დღგ-ს თანხა გადახდილი იქნება "მოჯარის" მიერ "მეიჯარისთვის" 7950 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხაზე ლარში ყოველთვიურად ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.

3.4. The Rent Fee as well as the sums renovation/upgrading under this agr are given excluding Value Adde (VAT) and it shall be paid by the additionally. For avoidance of any the VAT shall be paid by the Less Lessor on the amount of 795(eqvivalent in GEL monthly for th period of the Agreement.

3.5. ამ მუხლით გათვალისწინებული საიჯარო თანხა "მოიჯარის" მიერ გადახდილ უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტაში ლარში.

3.5. The Rent Fee stipulated by th Article will be paid by the I national currency, GEL.

3.6. მთელი საიჯარო პერიოდისთვის "მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს ღარის საგანთან დაკავშირებული კომუნალური თუ სხვა სახის

3.6. For the whole period of t agreement the Lessee is obliged communal fees and ar

SASSEN KHAKSHOURI

გადასახადები/გადასახდელები მათ შორის ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების, საკაბელო სატელევიზიო ანტენის, ტელეფონისა და ინტერნეტით სარგებლობის გადასახადი. აღნიშნულ და სხვა მსგავს გადასახადებს/გადასახდელებს „მოიჯარე" გადაიხდის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგენილი ფასებისა და ტარიფების შესაბამისად.

taxes/payments related to the Lease Object including: electricity, natural gas, water, cleaning, cable television, telephone and internet services. The above taxes/payments shall be paid by the Lessee according to the tariffs and prices stated by the legislation of Georgia.

3.7. საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.7. Rent Fees shall be paid through bank transfer.

3.8. საიჯარო ქირის დაანგარიშება მოხდება მიმდინარე თვის ბოლო დღის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საიჯარო ქირა და შესაბამისი დღგ ჩარიცხული უნდა იქნეს მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. "მოიჯარის" შემდეგ ანგარიშზე:

სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის
GE27TB0600000101467019

3.8. The Rent Fee shall be calculated according to the exchange rate stated by the National Bank of Georgia for the last day of the foregoing month. The Rent Fee and the VAT shall be transferred to the following bank account of the Lessor until 5th day of each following month:

JSC "TBC BANK"
Bank Code: TBCBGE22
Account № GE27TB0600000101467019

3.9. მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადისა (ხელშეკრულების ნებისმიერი პირობით ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ხელშეკრულებას წყვეტს "მეიჯარე" ყოველგვარი საფუძვლის გარეშე) ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისინებული გაუმჯობესების თანხა არ ექვემდებარება "მოიჯარისათვის" უკან დაბრუნებას ან/და ანაზღაურებას.

3.9. Irrespective of the validity term of the present Agreement (in case of cancellation of the Agreement prior to expiration of its term by any reason exept by reason of cancelation of this agreement by the Lessor without any reasons) the sums stipulated under article 3.2 of this agreement for renovation/upgrading will not be returned and/or reimbursed to the Lessee.

GASSON KHAKSHOORI

მუხლი 4

მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

- გამოიყენოს "იჯარის საგანი" მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად;
- არ დაუშვას „იჯარის საგნის" ფუნქციის შეცვლა „მეიჯარესთან" წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა;
- მოუაროს "იჯარის საგანს", მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, ტექნიკური და სხვა უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობის კუთვნილი, აგრეთვე საერთო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები;
- მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის საგნის" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი თავისი ხარჯებით. ამ მიზნით "მოიჯარე" ვალდებულია მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე თავისი ხარჯით გაანახორციელოს და იქონიოს იჯარის საგნის დაზღვევა;
- მხოლოდ „მეიჯარესთან" შეთანხმებით და თავისი ხარჯებით ჩაუტარებს "იჯარის საგანს" გაუმჯობესებანი მისი ნორმალური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად. ამასთან, რემონტის და გაუმჯობესებების ხარჯები „მოიჯარეს" არ აუნაზღაურდება;
- არ გაანახორციელოს საყრდენი კედლებისა და კოლონების რაიმე სახით დეფორმაცია;

Article 4

The Rights and Responsibilities of the Parties

4.1. The Lessee is obliged:

- To use the Lease Object only for t designation stipulated by the pres Agreement;
- Not to allow alteration of the function the Lease Object without prior writ agreement of the Lessor;
- To timely pay the Rental Fees;
- To care for the Lease Object. To obse strictly fire prevention, technical other safety rules, sanitary demands, r of exploitation of building as well engineering communications networks;
- To take all necessary measures protection of the Lease Object from risk of damage and in case the L Object suffers damage, to extirpate damage immediately, at his own c For this reason the Lessee is oblige execute and maintain the insurance o Lease Object for the whole perio Lease period.
- To carry out improvements/upgradin the Lease Object for the provision c normal exploitation only at the conse the Lessor and at his own expenses the costs made for repair and upgra will not be compensated to the Lessee
- Not to deform supporting walls columns in any way;

LESSEE KHAKHOORI

- ხელშეკრულების მოშლის ან ვადამდე შეწყვეტისას, უკან დააბრუნოს "იჯარის საგანი", რომელიც არ იქნება საქექსპლუატაციო და ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით იმაზე უარეს მდგომარეობაში ვიდრე იგი იყო გადაცემის დროს;

- To return the Lease Object, in case of cancellation or termination of the present Agreement in the condition not worse than it was at the moment of its transfer considering the exploitation and natural wear and tear;

- ასევე „მოიჯარეს" უფლება არ აქვს „მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე საიჯარო ფართი გადასცეს ქვეიჯარით.

- The Lessee will have no right to sub-lease the lease Object unless prior written consent from the Lessor;

- დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

- To observe the provisions of the present Agreement.

4.2 "მეიჯარე" ვალდებულია:

4.2. The Lessor is obliged:

- ხელი შეუწყოს "მოიჯარეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ სახელმწიფო, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა.

- To help the Lessee to get all necessary documents (certificates, notes etc.) which may be demanded by state, including controlling authorities;

- დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები

- To observe the provisions of the present Agreement.

4.3 "მეიჯარეს" უფლება აქვს:

4.3. The Lessor has the right:

- მოითხოვოს "მოიჯარის" ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

- To demand compensation of losses incurred by the fault of the Lessee;

- გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული უფლებები.

- To use the rights stipulated by the present Agreement and those granted by legislation.

მუხლი 5
პასუხისმგებლობა

Article 5.
Responsibilities

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

5.1. In case the parties fail to fulfill the obligations undertaken within the frames

GASSON KHARKHOURI

შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარე უნაზღაურებს მეორე მხარეს ამით მიყენებულ ზიანს.

of the present Agreement or if they fulfill their obligations improperly, the parties will be responsible according to the provisions of the present Agreement and current legislation of Georgia. A party violating these provisions will compensate to the other party the losses incurred by him.

5.2. "იჯარის საგნის" განადგურებისა და დაზიანების რისკი დაკისრებული აქვს „მოიჯარეს."

5.2. The risk for loss and damage of the Lease Object shall be borne by the Lessee.

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის და სხვა გადასახადების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში "მოიჯარე" ვალდებულია გადაუხადოს "მეიჯარეს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.

5.3. In case of violation of order of payments of the Rental Fees and the dues/taxes by the Lessee according to the agreement the Lessee shall pay to the Lessor the penalties in the amount of 0.02% of the overdue amount, per each overdue day.

მუხლი 6
ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე მოშლა

Article 6.
Term of the Agreement and Cancellation Prior to Expiration of Its Term

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება, ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

6.1. The present Agreement enters into force on the day of its signing by the parties;

6.2. "მეიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ცალმხრივად და უპირობოდ, შეტყობინების საფუძველზე, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

6.2. The Lessor can unilaterally, unconditionally, without any additional obligation from his part, on the basis of a corresponding notice, cancel the present Agreement prior to expiration of its term in the following cases:

- თუ "მოიჯარე" სისტემატურად არღვევს ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებით ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას;

- If the Lessee systematically violates any obligation stipulated under articles 3 and 4 of the present Agreement;

LESSOR [illegible]

- ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

- In case of improper fulfillment of obligations undertaken under articles 3 and 4 of the present Agreement.

6.3. ამ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება მოშალა ან შეწყდა მისი მოქმედება, მაგრამ „მოჯარე" არ ათავისუფლებს „ობარის საგანს", „მეჯარე" უფლებამოსილია არაუადრეს 7 (შვიდი) დღის ვადაში თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს კომისია არაუმეტეს 3 კაცის შემადგენლობით, გახსნას ნებისმიერი ფორმითა და საშუალებებით "ობარის საგანი", შეადგინოს "ობარის საგნის" გახსნისა და აღწერის ოქმი (რომელსაც სადავოობისას გააჩნია იურიდიული მტკიცებულების ძალა) "ობარის საგანში" არსებული ქონება გადაიტანოს სხვა ადგილას შენახვაზე (ამ შემთხვევაში „მოჯარე" „მეჯარეს" უხდის შენახვის, იურიდიული მომსახურების, სასამართლოს და სხვა ხარჯებს და „მოჯარის" მიერ გადაუხდელი თანხების არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ ქონების მიმართ „მეჯარეს" გაეხნია გირავნობის უფლება ამ ქონებაზე მისი ფლობით) და "ობარის საგანი" გააქირავოს ხელახლა. ამ შემთხვევაში „მეჯარეს" არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც შესაძლოა მიადგეს „მოჯარეს" (მათ შორის ქონებას) „მეჯარის" ქმედების გამო და „მოჯარე"-ს არ აქვს უფლება მოითხოვოს რაიმე ანაზღაურება.

6.3. In case the Agreement is cancelled o terminated and the Lessee does not vacat the Lease Object, the Lessor not earlie than 7 (seven) days may appoint commission at his own discretion, that wil consist of maximum 3 persons, to open b any means and form, the Lease Object an draw a Deed of opening and description c the Lease Object (which in case of dispute will have legal force as an evidence), t shift the assets existing in the Lease Obje to any other place for storing (in this cas the Lessee will pay to the Lessor costs f storing, lawyer, court proceedings etc. ar in case of existence of unpaid sums by th Lessee the Lessor will have the right mortgage this property, and the right possess and hold it) and to rent out t Lease Object anew. In this case the Less will not be responsible for losses, whi may be suffered by the Lessee (includi the assets) due to the actions of the Less and the Lessee will have no right demand any kind of compensation.

6.4. ხელშეკრულების მოშლის ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ „მეჯარემ" არ განახორციელა ხელშეკრულების 6.3.-ე პუნქტით განსაზღვრული ქმედება და „მოჯარე" ფაქტიურად მაინც აგრძელებს "ობარის საგნით" სარგებლობას, იგი „მეჯარეს" უხდის ფაქტიურად სარგებლობის პერიოდში, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ

